ქართული კრედიტი
GEORGIAN CREDIT

2022 წლის 30 ივნისი, 11:00 საათზე, საქართველოს დროით მის: თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N7, მოწვეულია სს მისო „ქართული კრედიტის" (ს/კ.:206238800, მის: თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N7 0186) აქციონერთა მორიგი საერთო კრება. საერთო კრება ჩატარდება შერეულ ფორმატში და აქციონერთა ნაწილი დაესწრება ელექტრონულად, დისტანციურ რეჟიმში. დისტანციურ რეჟიმში დასასწრებათ, გთხოვთ, გამოიყენოთ შემდგი Zoom ლინკი:

Join Zoom Meeting:
https://us02web.zoom.us/j/82322385826?pwd=NGRYSzR5OG9JdU5QbWk0cGZIWkZXZz09

MeetingID: 823 2238 5826

Passcode: 489912

მონაწილეობა და ხმის მიცემა:

აქციონერთა მორიგი საერთო კრების სააღრიცხვო თარიღია 2022 წლის 24 ივნისი. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება აქვთ სააღრიცხვო დღისათვის.

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. საზოგადოების აქციონერთა კრების მონაწილე პირთა რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2022 წლის 24 ივნისასა. წარმომადგენლობით მონაწილეობის შემთხვევაში, წარმომადგენელმა წერილობითი შეტყობინება უნდა გამოაგზავნოს (მათ შორის ელექტრონული ფოსტის გამოყენებით) შემდეგ მისამართებზე: სს მისო ქართული კრედიტი, თბილისი, სანდრო ეულის N7 და ელექტორონულად შემდეგ მეილებზე: ngelashvili@geocredit.ge ან info@geocredit.ge არაუგვიანეს 2022 წლის 24 ივნისისა. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი საერთო კრებაზე მონაწილეობას იღებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კრებაზე წარმოდგენილ აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე.

აქციონერის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ინფორმაციის და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის/რწმუნებულების წარმოდგენა შესაძლებელია ასევე საზოგადოების ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართებზე:ngelashvili@geocredit.ge ან info@geocredit.ge.

თქვენი უფლებამოსილების, საერთო კრების მოწვევის აქციათა საერთო რაოდენობის, თქვენი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან _ ს.ს. „საქართველოს ფასიანი ქაღალდების

გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ლიცენზიის #70006), მისამართი: საქართველო, 0162, თბილისი, მოსიაშვილის ქ.N 11, ტელ: (+995 32) 222-53-51.

საერთო კრებაზე თითოეულ აქციონერს აქვს საწესდებო კაპიტალის პროპორციული რაოდენობის ხმები.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ საერთო კრებას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა 50%-ზე მეტის მფლობელი აქციონერები.

კრების დღის წესრიგი:

1. დირექტორთა საბჭოს ანგარიშგება განხორციელებული საქმიანობისა და მართვის თაობაზე.

   არ საჭიროებს დამტკიცებას

2. 2021 წლის აუდიტის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.

   სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს რეკომენდაცია: დამტკიცდეს 2021 წლის აუდიტის ფინანსური ანგარიშგება საერთო კერბაზე წარმოდგენილი სახით.

3. 2021 წლის მოგების განაწილება.

   სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს რეკომენდაცია: საზოგადოებამ შეინარჩუნოს 2021 წლის მოგება და არ განხორციელდეს დივიდენდების გაცემა 2021 წელზე.

4. 2022 წლის გარე აუდიტორის დამტკიცება.

   სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს რეკომენდაცია: დაინიშნოს BDO საზოგადოების 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტორად.

5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება.

   სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს რეკომენდაცია: 2021 წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოებას არ აქვს პერეტენიზია.

6. სამეთვლაყურეო საბჭოს წევრების არჩევა:

   ნომინირებული კანდიდატი სამეთვალყურე საბჭოს ახალ წევრად:

კრებაზე წარმოდგენილია გიორგი ნასყიდაშვილის კანდიდატურა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დანიშვნის თაობაზე 3 წლის ვადით.
სამეთვლალყურეო საბჭოს წევრის განმეორებით არჩევა:
სამეთვაყურეო საბჭოს წევრის კონსტანტინე სულამანიძეს განმეორებით არჩევა 3 წლის ვადით.

სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს რეკომენდაცია: აირჩეს გიორგი ნასყიდაშვილი სამეთვალყურეო საბჭოს ახალ წევრად და ხელახლა იქნას დანიშნული კონსტანტინე სულამანიძე სამეთვალყურეო საბჭოს წევრად.

7. სხვა საკითხები

აქციონერთა საერთო კრების მასალების გაცნობა შესაძლებელია საზოგადოების ვებგვერდზე: https://georgiancredit.ge/

თქვენ უფლებამოსილი ხართ ასევე, საზოგადოებას მოსთხოვოთ საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, თქვენი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის დადასტურების გაცემა.

კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერი/აქციონერთა ჯგუფი უფლებამოსილია, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე გონივრული დროით ადრე წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) მიმართოს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და/ან აღმასრულებელ დირექტორს და შესთავაზოს დღის წესრიგში საკითხის დამატება.

იორგ ვულფკენი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე